ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N27010401/88

ქ. თბილისი 2022 წელი

ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის გიორგი ჭანტურიას სახით და მეორე მხრივ, სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი საფინანსო დეპარტამენტის ფინანსისტი ანა თოლორაიას სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), ხელმძღვანელობენ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება”) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ - შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;
1.6 „ვებ გვერდი“ ნიშნავს - შემდგომში ვებგვერდს (www.matsne.gov.ge), რომლის მეშვეობითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ღებულობს ელექტრონული სისტემით სარგებლობის მომსახურებას.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 ხელშეკრულების საგანია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვაზე (CPV 64200000).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება
3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 8 500 (რვა ათას ხუთასი) ლარს.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 8.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.
3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს/მოსაკრებელს/სახდელს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
4.1. ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით სარგებლობის პირობები და საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 6 იანვრის N802 ბრძანების საფუძველზე.
4.2. მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება განკუთვნილია შემსყიდველის 34 (ოცდათოთხმეტი) მომხმარებელზე.

5. მომსახურების შესაბამისობა
5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ინტენსიური, რეგულარული ხასიათის და პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6. ვებ გვერდით სარგებლობის პირობები და ვადები
6.1. ვებგვერდით სარგებლობა განხორციელდება მაცნეს ვებგვერდის საშუალებით, მომხმარებლის სახელ(ებ)ის (user name) გააქტიურებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში (2023 წლის 4 მაისიდან 2024 წლის 4 მაისამდე).

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება დასტურდება მომხმარებლის სახელისა (user name) და პაროლის გადაცემით, მომსახურების გაწევითა და წინამდებარე ხელშეკრულების 16.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

8. ანგარიშსწორების პირობები
8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ჩაბარებიდან) 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9. მხარეთა ვალდებულებები
9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
9.1.1. განახორციელოს მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება.
9.1.2 უზრუნველყოს, მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამართული მიწოდება;
9.1.3. უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
9.1.4. ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადასცეს შემსყიდველს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის სახელი (user name), პაროლი, ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება დანართი N1-ის შესაბამისად.
9.1.5 აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
9.2.1. კონფიდენციალურად შეინახოს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელი (user name) - პაროლი, უზრუნველყოს მისი დაცვა და არ დაუშვას მესამე პირთათვის მისი გადაცემა (იმ შემთხვევაში, თუ სისტემიდან გამოსვლის გარეშე პარალელურ რეჟიმში მომხმარებლის სახელით განხორციელდება სხვა კომპიუტერული მოწყობილობიდან სისტემაში შესვლა, მომხმარებელი მიიღებს გაფრთხილებას და მესამე ასეთი ქმედების შემდეგ ამოქმედდება ვებგვერდზე მომხმარბლის სახელის საათობრივი შეზღუდვა. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მობილური აპლიკაციის მეშვეობით პარალელურ რეჟიმში სისტემაში შესვლისას);
9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს „მიმწოდებლთან“ ანგარიშწორება ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;
9.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
9.2.4. თავისი შეხედულებისმებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი, და უზრუნველყოს მისი დაცვა;
9.2.5 წარუდგინოს მიმწოდებელს დაზუსტებული და სრული ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად.

10. მხარეთა უფლებები
10.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
10.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
10.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
10.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
10.2.1. აწარმოოს მოწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს, მისი აღმოფხვრის მიზნით;
10.2.2. მოითხოვოს მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის გამოწვევა განპირობებულია უშუალოდ მიმწოდებლის ბრალეულობით.

11. ფორს-მაჟორი
11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი: ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მიმწოდებლისგან;
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
12.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია,
თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13. დავების გადაწყვეტა
13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება – შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.
14.2. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი კალენდარული დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
14.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
15.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული (კალენდარული) დღისათვის. გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ხორციელდება პროგრამული განახლება ან სერვისის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები. ამასთან, შეფერხების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 სამუშაო დღეს.
15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება 10%-ის ოდენობით ანაზღაურება.
15.4. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

16. ინსპექტირების პირობები
16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტოს შესყიდვების სამმართველოს უფროსი ტარიელ იმხნელის სახით.
16.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
16.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;
16.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
17.1. წინამდებარე ხელშეკრულება დასტურდება ბეჭდით დამოწმებითა და მხარეთა ხელმოწერებით.
17.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები
18.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
18.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
18.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
18.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
18.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
18.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

18.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
18.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.
18.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
18.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია ელექტრონული ფორმით და გააჩნია იურიდიული ძალა.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ “სოციალური მომსახურების
სააგენტო”
ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის N51,
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Date: 2023.05.03 16:26:52 +04'00'

_____

გიორგი ჭანტურია
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“
სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის N2
სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22;
ს/კ N203862622
ანგარიშის ანგარიში 707407076

Ana Toloraia
Digitally signed by Ana Toloraia
Date: 2023.05.03 16:51:59 +04'00'

_____

საფინანსო დეპარტამენტის ფინანსისტი
ანა თოლორაია

შენიშვნა: სტანდარტული პაროლი ექვემდებარება სავალდებულო შეცვლას მომხმარებლის მიერ

შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ უზუსტობაზე დანართში ასახულ ინფორმაციაზე და მათ საფუძველზე გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

დანართი ივსება ლათინური ასოებით.

№				
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
17				
18				
19				
20				
21				
22				
23				
24				
25				
26				
27				

28				
29				
30				
31				
32				
33				
34				

ბ/ა _____ ხელმოწერა: